ხელშეკრულება № 50

ქ. თბილისი " 15 " – მაისი - 2019 წ.

ჩვენ, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, ერთის მხრივ სს " გეფა " (შემდგომში " მიმწოდებელი ") მისი კორპორატიული გაყიდვების მენეჯერის კახაბერ ხაჩიძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა" (შემდგომში "მიმღები"), მისი დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავას სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი ყიდის და მიმღები ყიდულობს მედიკამენტებსა და სამედიცინო დანიშნულების საგნებს – CPV – 33100000 - სამედიცინო მოწყობილობები.

1.2. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გასაყიდი პროდუქციის ნუსხას, რაოდენობას, ფასებსა და გადახდის ვადებს მხარეები ადგენენ ურთიერთშეთანხმებით, მოწოდებული პრაის-ლისტის შესაბამისად.

1.3. შესაბამისი ნაშთების არსებობის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავის ტრანსპორტით საქონლის შეკვეთის მიღებიდან 3 კალენდარულ დღეში მიაწოდოს მიმღებს შესაბამისი საქონელი.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დროულად მიაწოდოს "მიმღებს" პროდუქცია;
- მიმღებს გადასცეს ხარისხიანი და რაოდენობრივად უნაკლო პროდუქცია.

2.2. მიმღები ვალდებულია:

- შეამოწმოს მედიკამენტების ვარგისიანობა და რაოდენობა გადაცემისას;
- დადგენილ ვადაში მოახდინოს მიღებული პროდუქციის საფასურის გადახდა.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. საქონლის გადაცემის მომენტად ითვლება მყიდველისთვის საქონლის მიწოდების თარიღი, რაც დასტურდება მხარეთა შორის საქონლის მიწოდებაზე (გადაცემაზე) სასაქონლო ზედნადების გაფორმებით (ატვირთვით), რის შემდეგაც მყიდველზე გადადის საკუთრების უფლება საქონელზე.

3.2. ანგარიშსწორება წარმოებს წინასწარი ან შემდგომი გადახდის პირობით (არაუმეტეს 30 დღისა). მედიკამენტებისა და სამედიცინო ნაწარმის ფასი შეიცავს ტრანსპორტირების ფასს. **ხელშეკრულების ღირებულება: 115,76 (ას თხუთხმეტი ლარი და 76 თეთრი) ლარი.**

3.3. შემდგომი გადახდის პირობით მედიკამენტებისა და სამედიცინო ნაწარმის მიწოდებისას (ურთიერთშეთანხმებით), მათი ღირებულების გადახა ხდება ზედნადებში აღნიშნული ღირებულებით. გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ლარის დევალვაციის (>5%) შემთხვევაში ანგარიშსწორება მოხდება საკურსო სხვაობის გათვალისწინებით, ლარის გადახდის დღისათვის დაფიქსირებული კურსით აშშ დოლართან მიმართებაში.

4. სხვა პირობები

4.1. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ სრულად აანაზღაურონ ის ზიანი, რომელიც მიადგა მეორე მხარეს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არასრული შესრულების შედეგად.

4.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

4.3. ყველა იმ პირობის დადგომისას, რომელიც ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული არ არის მხარეები ურთიერთობისას ხელმძღვანელობენ სამეწარმეო ეთიკისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

4.4. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერ დავა (მათ შორის შეწყვეტა, შესრულება და სხვა) განხილული და გადაწყვეტილი იქნება ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

4.5. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიექცევა დაუყონებლივ აღსასრულებლად.

4.6. იურიდიული მისამართის, მომსახურე ბანკისა და სხვა რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან შვიდი დღის განმავლობაში შეატყობინონ ერთმანეთს ამის შესახებ;

4.7. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2 (ორი) თვის ვადით. 15.05.2019 წ - 30.06.2019 წ.

4.8. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ გაუქმებულად ჩაითვლება მხარეებსა შორის მანმადე არსებული ყველა სახის ხელშეკრულება თუ შეთანხმება პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებით;

4.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორ) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სს"გეფა"	**სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა"**
მის.: ქ. თბილისი,დიდი დიღომი-გლდანის შემაერთებელ მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, (ნაკვ 4/77)	მის: ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. # 2
ტელ: 2 91 19 00	ტელ: 595 50 67 32
სს "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი	სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TBCBG22	
ა/ა GE47TB7079136020100017	
ს/კ 201991229	ს/კ **242728679**
კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი:	დირექტორის მ/შ:
——————— / **კახაბერ ხაჩიძე** /	---------- / **თეანა ქუხილავა**/